

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა

წელწიკულ

2020

სპეციალური გამოცემა



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

არასრულწლოვანი – განრიდება-მედიაცია, როგორც „საუკეთესო ინტერესი უპირველეს ყოვლისა“?

ადამიანი ბუნებით კონფლიქტუი პოლიტიკური ცხოველია, რომელიც ამახტებს პოლიტიკური ჰეაღიზმის ძიხეუდ პინციპს – მუდმივად საომარი მდგომარეობის შენახუნებითა და დაბუღი, ეგოისტური დამოკიდებულებით პოლიტიკური იდეალისტების მიეხ დახატულის სამყაროს მიმახთ. პოლისის ანახეკდ სახედმწიფოში ინვივიდთა მიმახთ დიფეხენციხებუდი მიდგომის მომხე გახდათ ახისტოტედე, რომელიც სამახთლიანობის საზომით, დამსახუხებისამებხ, უწი-ღადებდა ყვედას სახთო-სახალხო სიკეთეს¹. დხოთა განმავლობაში ფიდოსოფოსთა ხედვის მო-დუხინისტური გაგებით ხედმძღვანელობამ მიიყვანა 21-ე საუკუნის სამახთლის სფეხოს მკვედე-ხები იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოების გახკვეუდი ჯგუფი იმსახუხებდა სახედმწიფოსთან წახ-მოშობიდი დავის მეტ-ნაკლებად შემწყნახებდუხი მეთოდებით მოგვახებასა თუ დასტაბილუხე-ბას, განსაკუთხებით კი მაშინ, როდესაც ახასხუდწლოვანი ინვივიდის სამახთლებიხი პხობდე-მას უზახმაზახ იუხიდიოდ პიხთან სისხლისსამახთლებიხივი საფუძვედი ჰქონდა. აღნიშნუდი სტა-ტიის მიზანია, მკითხველის ყუხადლება გაამახვილოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ახასხუ-დწლოვნის პიხოვნებასა და მისთვის კანონმდებლის მიეხ შეთავაზებუდი სისხლისსამახთლებიხივი უხთიეხთობის მოგვახების ისეთ ხეხხზე, როგოხიცაა განხიდება და მედიაცია, ხითაც კითხვას – ხამდენად მიზანშეწონილია დამნაშავის დასჯის, როგოხც საჯარო ინტეხესის დათხუნვა კეხ-დო ინტეხესის მოწყვდადი ხასიათით, a priori ყვედა შემთხვევაში გამახთდება, ხამდენადაც სა-მახთლებიხივი დავის ეხთ მხახეს ახასხუდწლოვანი დგას – პასუხი გაეცემა.

საკვანძო სიგყვები: ახასხუდწლოვანი, განხიდება, მედიაცია, სისხლისსამახთლებიხივი პა-სუხისმგებლობა, ახასხუდწლოვანთა მახთდმსაჯულების კოდექსი.

1. შესავალი

არ არსებობს საზოგადოება დანაშაულის გარეშე², შესაბამისად, ყოველ დროსა თუ ეპოქაში საჭიროა არსებობდეს ნულოვანი ტოლერანტობა³ კრიმინალური მენტალიტე-ტისა და დანაშაულთა კატალოგში შეტანილი ქმედების მიმართ, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს საზოგადოების კლასიფიცირებას დანაშაულებრიობასთან ბრძოლის პროცესში, რამდენადაც მისი თითოეული წევრი სოციალიზაციის მეტ-ნაკლები ხარის-ხით არის წარმოდგენილი საერთო-სახალხო ასპარეზზე, რაც განსაკუთრებით დამახა-სიათებელია არასრულწლოვან პირთათვის⁴ – დასახელებულ პირთა ჯგუფის მოწყვლა-დი ხასიათის გათვალისწინებით კანონმდებელმა დაუშვა მათ მიმართ ნაკლებად ხის-ტი მიდგომა მაშინ, როდესაც სახელმწიფოს, როგორც ყველაზე დიდ იურიდიულ და ბიუ-როკრატიულ პირს, და კერძო სუბიექტს შორის სამართლებრივი ურთიერთობა Ultima Ratio, ანუ სისხლისსამართლებრივი გზით რეგულირდება – არასრულწლოვანთა მარ-თლმსაჯულების კოდექსი (შემდგომში –ამკ) სისხლისსამართლებრივი დევნის განმა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტე-ტის ბაკალავრიატის სტუდენტი, თსუ-ის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის ეროვნული ცენტრის სტაჟიორი.

¹ გაჩიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2010, 43.

² შადიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, 93, იხ. ციტირება: Dukheim E., 1968, S.4.

³ ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკა, როგორც საპოლიციო სტრატეგია 1994 წელს განხორციელდა ნიუ-იორკში იმდროინდელი ნიუ-იორკის პოლიციის უფროსის - ვილიამ ბრეტო-ნისა და მაშინდელი ქალაქის მერის - ჯულიანის ხელშეწყობით, იხ. იქვე, 53.

⁴ მარბურგის დირექტივები, იხ. ციტირება: შადიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლ-მსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 123-124.

ხორციელებელ პირს, პროკურორს, ავალდებულებს არასრულწლოვანი პირის მიმართ დისკრეციული უფლებამოსილებით განსაზღვრული სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების საკითხის განხილვის დროს იხელმძღვანელოს მისი, როგორც ნაკლებად სოციალიზებული პირის, საუკეთესო ინტერესით და, უპირველეს ყოვლისა⁵, მის პიროვნებაში საქციელის დასჯის ნაცვლად იფიქროს მისი სხ დევნისაგან განრიდება და მედიაციის შესახებ⁶ - აღნიშნული მიდგომით, კანონმდებელი ზრუნავს ჯერ კიდევ გარდატეხის ასაკის ეიფორიაში მყოფი პირის დაუსრულებელი განვითარების ადეკვატურად და სრულად წარმართვაზე და მას აძლევს კიდევ ერთ შანსს - საინტერესოა, რის საფუძველზე უნდა იმოქმედოს პროკურორმა, როდესაც შესაძლო დამნაშავის მიმართ მას ევალება დისკრეციის საკითხი კარგად აწონ-დაწონოს და რამდენად არის გარანტირებული ის, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული პირი სამომავლოდ კრიმინალური ცხოვრების გზას არ დაადგება და მის მიმართ დახარჯულ უზარმაზარ ადამიანურ თუ ფინანსურ-ეკონომიკურ რესურსს სათანადოდ დააფასებს?

2. ახალი ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ რეალობაში?

პირის, როგორც სამართლის სუბიექტის, ბრალუნარიანობის საკითხი ქართული სისხლის სამართლის დარგისათვის უცნობ განფენილობას არ წარმოადგენს - მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედების გააზრების შესახებ პირველი ნარკვევები და საკანონმდებლო ბაზა რომის იმპერიაში შეიქმნა, აღნიშნული საკითხის შესახებ შეხედულებათა ნაკლებობას არც ძველქართული სისხლის სამართალი განიცდიდა: ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის ძეგლი „მცირე სჯულის კანონი ფიზიკური პირის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათის გამომრიცხავ გარემოებად ასახელებს პირის უასაკობას, რაც თავის თავში 30 წლამდე პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას მოიაზრებს⁷. ვახტანგ VI ადამიანისთვის სისხლისსამართლებრივი ქმედების დანაშაულად შერაცხვისათვის ადგენს 10 წლის ასაკის ზღვარს⁸, ამავდროულად მისი დროის ქართული სამართალი იცნობს 21-ე საუკუნის ისეთ თანამედროვე ინსტიტუტს, როგორც მედიაციას: მე-18 საუკუნეში არსებობდნენ სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც „ბჭე-მედიატორების სახელით მოიხსენიებოდნენ⁹.

ასაკის დადგენას და პირის მიერ განხორციელებული დევიანტური ქმედების დასახელებულ კატეგორიაზე დაფუძნებას დიდი მნიშვნელობა აქვს - ამკ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ განრიდება-მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას 21 წლამდე შესაძლებლად მიიჩნევს, რისი საფუძველიც, სავარაუდოდ, ჩადენილი ქმედების ფსიქოლოგიური ანალიზია: 21 წლამდე ასაკის ინდივიდი ჯერ კიდევ მოკლებულია უნარს, საღად მოაზროვნე ადამიანის ობიექტური თვალთვალის განსაჯოს საქციელის გონივრულობა. იგი ჯერ კიდევ გარდამავალი პერიოდის ქარცეცხლშია მოქცეული, რაც იმპულსურობისა და აღზნებადობის ფონზე განხორციელებული ქმედების გონს თრგუნავს ან ბოლომდე შეცნობად კატეგორიად არ აქცევს. სწორედ ამიტომაც ითვლებოდა ძველ რომში 25 წლამდე ასაკის პირი ჯერ კიდევ პატერ-ფამილიასის ოჯა-

⁵ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლსაძუსულების კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 12/06/2015, მე-4 მუხლი.

⁶ იქვე, 38-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁷ მეტევედი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 225-226.

⁸ იქვე, 226.

⁹ შეად. გყემადაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბ., 2016, 10-12, შემდეგ: ონიანი ს., ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ს გამომცემლობა, №2, 2013, 14-25.

ხური მფარველობის ქვეშ, რამდენადაც იგი „დაღვინებულნი არ იყო იმდენად, რომ საკუთარ არსებობასა და არსებობიდან გამომდინარე შედეგებზე პასუხი მთელი სიცხადით ეგო“¹⁰.

არასრულწლოვნის მიერ ქმედების მეტ-ნაკლები პასუხისმგებლობით გააზრების პრობლემატიკამ განაპირობა სისხლის სამართლის სფეროში განრიდება-მედიაციის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216-ე ბრძანებასთანაა დაკავშირებული: ზემოაღნიშნულმა მიდგომამ სიახლე შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში (გააუქმა მისი მე-4დმე-5 ნაწილები) და ცალკე ინსტიტუტის სტატუსი მიანიჭა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების მოგვარების წესს არასრულწლოვანთა მონაწილეობით, რაც, საბოლოო ჯამში, 2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შექმნით დაგვირგვინდა და, შესაძლოა, საფუძველიც კი ჩაუყარა ისეთი ფართო დოკუმენტის მიღებას, როგორც „ბავშვის უფლებათა კოდექსიან 2019 წლის ვერსიის სახით. თავდაპირველად, განრიდება-მედიაციის ინსტიტუტი საპილოტე პროგრამის სახით განხორციელდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მიმართ, რამაც დროთა განმავლობაში საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორია მთლიანად დაფარა¹¹. აღნიშნული ინსტიტუტით სარგებლობისას პროკურორი ხელმძღვანელობს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, არდაწყების, არდაწყებისა და განრიდება ან განრიდებასთან ერთად არასრულწლოვნის მედიაციის პროგრამაში ჩართვის შესახებ¹². სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ეჭვი პროკურორისადმი მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არასრულწლოვნის მიმართ განრიდება-მედიაციის საკითხის გადაწყვეტისას მისი, როგორც ინსტიტუტის ერთ-ერთი საკვანძო სუბიექტის, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის ხარისხისადმი.¹³ მართლაც, საკითხავია, რა წარმოადგენს პროკურორისთვის პირის მიმართ დასახელებული საკითხის გადაწყვეტის სახელმძღვანელო იდეას? უმთავრეს მოტორულ ძალად შინაგანი რწმენა¹⁴ გვევლინება, რომელიც ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილების შედეგად უყალიბდება ე.წ. ბუნებით პირს. არასრულწლოვანთა მიმართ მსგავსი გადაწყვეტილების მისაღებად უმჯობესი იქნება, თუ სპეციალიზებული პროკურორებისათვის კანონით დადგინდება გონივრულად განსაზღვრული გამოცდილების არსებობა - „ახალი სისხლი“ ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის მუშაობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ემოციურად არასტაბილური და ჯერ კიდევ შეუმდგარი არასრულწლოვნის საკითხის გადაწყვეტა „ახალბედა პროკურორს“ მივანდოთ, თუნდაც მას გააჩნდეს სპეციალიზება დასახელებული მიმართულებით.

¹⁰ მეტხეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბ., 2009, 104-105.

¹¹ ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2017, 127.

¹² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181-ე „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 08/10/2010, მე-3 მუხლი.

¹³ დეონიძე ი., განრიდებასა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა“, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2019, 130-131.

¹⁴ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 12/06/2015, მე-40 მუხლის „ე“ ქვ.პ.

3. Primary Consideration არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში

„უპირველეს ყოვლისა“ (ე.წ. Primary Consideration) პრინციპი ბავშვთა უფლებათა კომიტეტის მე-14 კომენტარის მიხედვით¹⁵ სამი მნიშვნელობით განიმარტება:

- A Primary Consideration-ის მიხედვით, არასრულწლოვნის სს საქმის წარმოებისას საუკეთესო ინტერესი ყველა სხვა გარემოებასთან ერთად ერთ-ერთი ყურადსაღები და გასათვალისწინებელი ელემენტია,

- The Primary Consideration-ის დათქმით, იგი აბსოლუტურ ხასიათს ატარებს, ხოლო

- The Paramount Consideration-ის განმარტებით, დასახელებულ ინტერესს ერთადერთ გასათვალისწინებელ გარემოებათა შორის აქვს ადგილი დათმობილი.

საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-4 მუხლის ტელეოლოგიური განმარტება შეესაბამება ბავშვთა უფლებათა კონვენციით განსაზღვრული „საუკეთესო ინტერესის“ A Primary Consideration-ის დათქმას: არასრულწლოვნისთვის დაშვებული ლოიალური მიდგომა მას ამკ-ს მე-40 მუხლით გათვალისწინებული პირობების კუმულაციური ერთობლიობისას აძლევს კიდევ ერთ შანსს, რათა არიდებულ იქნას სამართლებრივი ურთიერთობის სისხლისსამართლებრივად დარეგულირების მეთოდს, თუმცა, საინტერესოა, არის თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყველა საქმეში იმდენად მძაფრი, რომ მან გადაფაროს საზოგადოების მხრიდან „სამართლიანობის აღდგენის“¹⁶ მოთხოვნა და რამდენად შეიძლება თუნდაც მედიაციის პროცესით დაზარალებულმა განიცადოს კმაყოფილება უფლებრივი რესტიტუციის კუთხით? რამდენად არის გარანტირებული, რომ არასრულწლოვნის ფსიქიკაში „დაუსჯელობის სინდრომის“¹⁷ ჩამოყალიბებას არ შეეწყობა ხელი, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დღევანდელი მდგომარეობით ნაკლებად მძიმე დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში კანონმდებელი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას მოწყვლადი კატეგორიის სუბიექტის მიმართ კრძლავს, რაც ასევე მის მიმართ დაკავების გამოყენების შესაძლებლობაზეც მბოჭავად მოქმედებს?

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ 2019 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში დაზარალებულთა 54%-მა გამოიჩინა საკმარისი სურვილი და მზაობა მედიაციის პროცესში მონაწილეობისათვის, რამაც შემდგარი მედიაციის პროცესის 54%-ის წარმატებით დასრულება გამოიწვია¹⁸. განრიდების ღონისძიების გამოყენება მედიაციასთან ერთად რესტორაციული მართლმსაჯულების სახით ხელს უწყობს არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის მიმართ ლიბერალური პოლიტიკის შედეგის ბენეფიტების წარგზავნას, არამედ იგი ორიენტირებულია დაზარალებულის სოციალიზაციაზეც, და უფრო მეტადაც, მის მიმართ წარსულში განხორციელებული ქმედების დავინწყებაზე. ყოველგვარი ჭირის ბადედ წყენაა მიჩნეული¹⁹– რამდენად რელევანტურია მედიაციის ქმედითობის შეფასება მაშინ, როდესაც

¹⁵ General Comment №14 on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Committee on the Rights of the Children, 2013, 10, <https://www2.ohchr.org/English/bodies/crc/docs/GC/CRC_C_GC_14_ENG.pdf> [19.12.2019].

¹⁶ T vs. UK, V vs. UK, ECHR, [ECHR-1999].

¹⁷ Peggy L., Chown J.D., John H., Can We Talk? Mediation in Juvenile Cases, FBI Law Enforcement Bulletin, Vol. 64, 1995, 21-22.

¹⁸ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2019 წლის 6 თვის ანგარიში, 14 <http://diversion.ge/res/files/52/Diversion_Report_2019_6%20Months.pdf> [07.01.2020].

¹⁹ „წყენააო ჭირთა ბადე“, შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბ., 2013, 242.

დაზარალებულთა საკმაო რაოდენობა წყენის დავიწყებისა და დევიანტი მხარისადმი პატიების პროცესს გაურბის. ამით იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაზარალებული რევიქტიმიზაციის საფრთხის ქვეშ უფრო მძაფრად იმყოფება, ვიდრე პირველადი ვიქტიმიზაციის პროცესს შეეძლო გაეღვივებინა შიში იდენტიფიცირებული დამნაშავისადმი. საკითხი მეტად მწვავეა მაშინ, როდესაც დაზარალებულიც სოციუმის იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც თავად დევიანტი – ისიც არასრულწლოვანია.

4. სოციალური გარდაქმნა – მითი თუ რეალობა?

სამართალი სოციალური გარდაქმნის ხელშემწყობი ინსტიტუტია²⁰. განვითარების სიჩქარე პირდაპირპროპორციულად შეესაბამება სახალხო განვითარების ტემპს – განრიდება-მედიაციის ინსტიტუტიც სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის უნაკლო(?) შედეგია, რაც მიანიშნებს თავად სოციუმის დამოკიდებულების ხისტი ხასიათის შეცვლაზე არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიმართ. აღნიშნულს განამტკიცებს არა მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემთა მათემატიკური ანალიზი, არამედ თავად მოსამართლეთა მიდგომა არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებისადმი: ერთ-ერთ საქმეში²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განმარტა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური ზომების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას, რათა ხელი შეუწყონ მოზარდის კეთილდღეობას კანონის მხრივ ჩარევის აუცილებლობის შესამცირებლად და ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად მოეპყრონ მოზარდს, რომელიც კანონთან კონფლიქტშია... მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ ყოვლისა, მიმართულია არასრულწლოვანის კეთილდღეობისა და იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ყოველგვარი ღონისძიება ყოველთვის შეესატყვისებოდეს როგორც პიროვნების თავისებურებებს, ისე სამართალდარღვევის გარემოებებს“. ამავდროულად, „არასრულწლოვანის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნეს შეფასებული კონკრეტული გარემოებები, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. ამასთან, თითოეული სახელმწიფო თუ კერძო დანებსებულება, ინდივიდუალური პირები ორიენტირებული უნდა იყვნენ არა არასრულწლოვანის დასჯაზე, არამედ მისი აღზრდისა და განვითარების ხელშეწყობაზე“. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დასახელებული საქმის არასრულწლოვან სუბიექტს ბრალად დანაშაულთა ერთობლიობა ედებოდა, თუმცა მის მიერ განხორციელებული ქმედების სიმძიმის მიუხედავად, მოსამართლემ მას კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელზე ნაკლები სასჯელი შეუფარდა.

ზემოაღნიშნული შემწყნარებლური მიდგომის შესახებ დასკვნას მეტ-ნაკლებად საფუძველს ურყევს სააპელაციო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება²², რომელშიც ასევე არასრულწლოვან პირს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლე გამამართლებელ განაჩენს გამამტყუნებელი განაჩენით

²⁰ Wacks R., Philosophy of Law, A Very Short Introduction, Oxford University Press, 1st Pub. 2006, xii, <<https://mail.google.com/mail/u/0/#inbox/FMfcgxwGCKbLLtsBGJtjCcdFGFTzkdC?projector=1&messageParId=0.2>> [07.01.2020].

²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საქმეზე №1/ბ-118-17, 23.02.2017.

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საქმეზე №1/ბ-165-16, 23.03.2016.

უცვლის, ქმედებას კი 3 ლარის ღირებულების თანხის (მონეტების) ქურდობა წარმოადგენს ე.წ. სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან. აღნიშნულს სასამართლო შემდგენიარად ასაბუთებს: „პალატა უპირველესად განმარტავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ტერმინის - „ზიანის“ მნიშვნელობას და მასში მოიაზრებს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ზიანს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მითითებულ დანაშაულთა ნაწილი სწორედ მატერიალურ ზიანს უკავშირდება, თუმცა არის დანაშაულთა წრე, სადაც ამგვარი ზიანი არამატერიალურად გამოიხატება. ამდენად, სადავო ნორმაში აღნიშნული ტერმინის - „ზიანის“ მხოლოდ მატერიალური განმარტება უსაფუძვლოდ შეზღუდავდა ამ ნორმით სარგებლობის საშუალებას და, რაც მთავარია, ბრალდებულთა საუარესოდ. თუმცა, ქმედებით გამონვეული მცირე მნიშვნელობის შეფასება მართოდენ ზემოაღნიშნული ორი კრიტერიუმით არ უნდა შეიზღუდოს, რადგან სადავო საკითხის შეფასების სამართლებრივი განსაზღვრულობის ფარგლები ბევრად უფრო მეტია.

ზიანის მიხედვით ქმედების კრიმინალიზება მიბმულია ქმედების ხასიათზე, და სწორედ აქედან გამომდინარე ზიანის ოდენობით მისი კრიმინალიზაციის ლიმიტირებაზე, ზოგადად კი დევიაციური ქმედების საშიშროების ხარისხზე, რისი უგულებელყოფაც საკითხის ზედაპირულ შეფასებამდე მიგვიყვანდა და კანონმდებლის ნამდვილ ნებას დათრგუნავდა არაპროპორციული მიდგომის დანერგვით. ბუნებრივია, შესაძლებელია, უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი 1 თეთრს არ აჭარბებდეს, თუმცა იგი მაინც არ ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ზიანად. ამ თვალსაზრისით ყურადღება სწორედ ქმედების ხასიათსა და მასში გამოხატულ მართლსაწინააღმდეგო ნებას უნდა მიექცეს და არა მხოლოდ ზიანის მათემატიკურ გამოსახულებას. „მოხმობილ გადაწყვეტილებათა კარდინალურად განსხვავებული შინაარსი და მოსამართლეთა მიდგომა, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს დროის ელემენტით, რამეთუ უკანასკნელ გადაწყვეტილებაში გამოხატულ „მკაცრ მიდგომაზე ზეგავლენას ვერ ახდენს 2015 წლის ივნისის თვეში მიღებული ლიბერალური დოკუმენტი მოწყვლადი კატეგორიის კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა მიმართ“, რაც, ერთგვარად, გამოსწორებულია პირველი გადაწყვეტილების სულისკვეთებით, თუმცა მოსამართლის შემწყნარებლური შეხედულების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, პირველი გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს ფიქრისას, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნის საფრთხე არსებობს რეალურად, დროსა და სივრცეში განსაზღვრულად – მსგავსი მიდგომა კი განაპირობებს თავად ამკ-თი გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების გაუფერულებას და არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის გამოყენებას ე.წ. კონვეიერულ პრინციპზე დაყრდნობით.

ქართული იურისპრუდენციის პრაქტიკული მხარე არ გვთავაზობს განრიდებულ და მედიაციაში ჩართულ პირთა მიერ ხელმეორედ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკურ მონაცემებს²³. განრიდება-მედიაციის ძლიერი მხარე ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნებაა, სისხლის სამართალში კი იგი დამნაშავე პირის მიერ განხორციელებული ქმედების საფუძვლის სიღრმეს დაზარალებულს აცნობს, რაც საფუძველია დაზარალებულის მხრიდან არამატერიალური რესტიტუციისა, რაც ემოციების გარდაქმნაში გამოიხატება დანაშაულისა და დამნაშავისადმი. „სამართლიანობა არა მხოლოდ უნდა აღდგეს, არამედ თვალნათლივ და უსათუოდ უნდა ჩანდეს, რომ აღდგა“²⁴ – სტატისტიკური

²³ შეად. ჩხეიძე ი., არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა (ბროშურა), აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2018, 16-18.

²⁴ გხექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 85.

მონაცემების გასაჯაროება საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემის ინოვაციური მეთოდის მიმართ აამაღლებს, ამავდროულად, შთაბეჭდილების, როგორც „რეალურის და ეფექტურის და არა ილუზორულისა და თეორიულის“ არსებობა დადებითად იმოქმედებს დაზარალებულთა იმ კატეგორიაზეც, რომელთა უნდობლობითად მედიაციის შემთხვევათა საკმაოდ დიდი ნაწილი წარუმატებლად გამოცხადდა.

სამედიცინო კვლევების თანახმად, საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის თავის ტვინის ის ნაწილია პასუხისმგებელი, რომელიც Amygdala-ს სახელითაა ცნობილი, რაც განსხვავდება მოზრდილებში ე.წ. Frontalen Cortex-ის მიერ განხორციელებული ოპერაციებისაგან²⁵. პირველ მათგანზე დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ემოცია და გადაწყვეტილების ხასიათიც იმპულსურია²⁶. სავარაუდოა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულობისთვის დამახასიათებელი სამი ელემენტიდან²⁷ ქცევის ნორმალურობა სწორედ დასახელებულ კვლევებს ემყარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებით ისედაც მერყევი ბუნების მქონე პირის ნება სარწმუნო იქნება სამომავლოდ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების პროგნოზირებისთვის?

5. დასკვნა

საზოგადოებას განსხვავებულ ინდივიდთა ერთობა ქმნის, რამდენადაც ერთფეროვნებისკენ სწრაფვა ადამიანის მეამბოხე ბუნების სანინააღმდეგოდ ხასიათდება. ინდივიდები, როგორც „მგლები ანდაც დღეები“ ერთმანეთისადმი, მუდმივად განიცდიან ნების სანინააღმდეგო ზეწოლას, თუმცა განსხვავებულია როგორც თითოეული ინდივიდი, ასევე ზეწოლის ხასიათი და თმენის შესაძლებლობის ზღვარი. ნების სიმყარის არქონა დაედო საფუძვლად არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს და მის ჩანაცვლებას განრიდება-მედიაციის ავ-კარგიანი მექანიზმის შემოღებით, რამდენადაც არასრულწლოვნის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა, მისი შეგნებულობა, ასაკი, მძაფრი შინაგანი სამყარო ვერ გაუძლებდა მის მიმართ სახელმწიფოს მიერ ლეგალური იძულების, როგორც თმენის ვალდებულებით შემოსილი უზარმაზარი ძალის, ამოქმედებას ისეთი სამართლებრივი პრობლემეტიკის მოსაგვარებლად, როგორც კლასიკური სისხლისსამართლებრივი დევნის მეშვეობით სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაა. 2015 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ამ მხრივ ქართული სისხლის სამართლის სისტემისათვის, რამდენადაც 2008 წლისგან განსხვავებით, თანდათანობითაა ლიბერალურმა ნებიჯებმა, საბოლოო ჯამში, გამოიწვია მიდგომის ცვლილება და მოდერირება არასრულწლოვანთა ინტერესების უპირველესად გათვალისწინების მეშვეობით. სტატიის სათაურში დასმული შეკითხვა მეტ-ნაკლებად პასუხგაცემულია: განრიდება-მედიაცია წარმოადგენს არასრულწლოვნის უპირატეს ინტერესს, რამდენადაც მისი მეშვეობით მოწყვლად სუბიექტს ეძლევა კიდევ ერთი შესაძლებლობა, არ განიცადოს საკუთარ თავზე სისხლის-სამართლებრივი დევნის „სიმძიმე“, ამავდროულად, დაზარალებულიც, როგორც პროცესის მონაწილე და არა მხარე, რესტიტუციულ კმაყოფილებას განიცდის მედიაციის კონფერენციის მეშვეობით, რაც მისი პიროვნების სამომავლო განვითარებაზეც დადე-

²⁵ შადიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 14.

²⁶ უზნაძე ე., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006, 560.

²⁷ ესენია: 1. ნორმალურობა, 2. ეპიზოდურობა, 3. ყველგან და ყველა დროში გავრცელებულობა, იხ. ციტირება: შადიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 16-18.

ბითად აისახება წარსულის შიშების გაქარწყლებითა და დავინყებით, თუმცა რამდენადაც „ზომიერება გონიერებაა“, იმდენად გათვალისწინებულ უნდა იქნას ყოველი კონკრეტული შემთხვევა არასრულწლოვნისა და მის მიერ განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივად საშიშროებისა – დასახელებული კატეგორიის სუბიექტების მიმართ განრიდება-მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს „კონვეიერს“, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რამდენადაც, განვითარებადი სოციუმის ფონზე გამორიცხული არ არის დროთა განმავლობაში უპირატესობის სასწორის პინა დამნაშავეს დასჯის საზოგადოებრივი, საჯარო ინტერესის აღსრულებისკენ გადაიხაროს და ეს სახეებით შესაფერისი კი იყოს არასრულწლოვნის კერძო ინტერესისა უპირველეს ყოვლისა.

საბოლოო შეჯამებისათვის:

- არასრულწლოვანთა მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადანყვეტილების მიმღები პროკურორისთვის სასურველი იქნებოდა კანონმდებლობით დაწესებულიყო პროფესიული გამოცდილების გონივრული ვადა (არასრულწლოვანთა მიმართულებით სპეციალიზაციასთან ერთად), რაც ამკ-ს მე-40 მუხლის „ე“ ქვ.პ-ით დადგენილ შინაგან რწმენას მეტად გაამყარებს.

- სასურველი იქნება, თუ ოფიციალურად შეისწავლება განრიდება-მედიაცია განვლილ არასრულწლოვანთა მიერ შემდგომში კვლავ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვობრივი მაჩვენებლები და დადგინდება სტატისტიკა მეტი სიცხადისთვის, რაც საზოგადოების ნდობის ფაქტორს ერთი-ორად აამაღლებს და მას დღევანდელ დღეს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების „ერთჯერადობაში“ დაარწმუნებს.

- არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა ერთ-ერთია გასათვალისწინებელ გარემოებათაგან, რაც მხოლოდ ექსტრემალურად საგამონაკლისო პირობებში შეიძლება იქნას დაძლეული საჯარო ინტერესით, შესაბამისად, განრიდება-მედიაცია – სისხლისსამართლებრივი დევნითა და პიროვნებაში საქციელის დასჯით.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლსამჯულების კოდექსი“, 12/06/2020.
2. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 09/10/2009.
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №181-ე ბრძანება „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ“, 08/10/2010.
4. დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2019 წლის 6 თვის ანგარიში, თბ., 2019, 14, <http://diversion.ge/res/files/52/Diversion_Report_2019_6%20Months.pdf> [07.01.2020].
5. გაჩიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ., 2010, 43.
6. „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, თბ., 2013, 243.
7. დეონიძე ი., განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული 2018-2019, სპეციალური გამოცემა“, თსუ-ის გამომცემლობა, თბ., 2019, 130-131.
8. მეგჩევედი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), თბ., 2009, 104-105.
9. მეგჩევედი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, 225-226.
10. ონიანი ს., ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისათვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, თსუ-ს გამომცემლობა, №2, 2013, 14-25.
11. გხექელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, 85.
12. ცყემადაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბ., 2016, 10-12.
13. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006, 560.

14. ფაფიაშვიდი დ., ივანიძე მ., აქუბაძე ი., თუმანიშვიდი გ., მეუხიშვიდი ბ., გოგნიაშვიდი ნ., საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბ., 2017, 129-131.
15. ქუთათედაძე მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, თბ., 2017, 122-152.
16. შადიკაშვიდი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2017, 93.
17. შადიკაშვიდი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 14, 123-124.
18. ჩხეიძე ი., არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამა (ბროშურა), აკაკის წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2018.
19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საქმეზე №1/ბ-118-17, 23/02/2017.
20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საქმეზე №1/ბ-165-16, 23/03/2016.
21. Convention on the Right of the Child, Adopted and Opened for Signature, Ratification and Accession by General Assembly resolution 44/25 of 20 November 1989, art. 3rd, <<https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx>> [12.01.2020].
22. General Comment №14 on the Right of the Child to Have His or Her Best Interests Taken as a Primary Consideration, Committee on the Rights of the Children, 2013, 10, <https://www2.ohchr.org/English/bodies/crc/docs/GC/CRC_C_GC_14_ENG.pdf> [19.12.2019].
23. Peggy L., Chown J. D., John H., Can We Talk? Mediation in Juvenile Cases, FBI Law Enforcement Bulletin, Vol. 64, 1995, 21-22.
24. Wacks R., Philosophy of Law, A Very Short Introduction, Oxford University Press, 1st Pub. 2006, xii, <<https://mail.google.com/mail/u/0/#inbox/FMfcgwxwGckbBLtsBGJtjCcdFGFTzkdC?projector=1&messagePartId=0.2>> [07.01.2020].
25. T vs. UK, V vs. UK, ECHR, [ECHR-1999].
26. <<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/20/28062f3bb2d78ba94c4cd9a60f305075.pdf>> [12.01.2020].